ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01181443358**

თარიღი: **24.05.2018**

ადრესატი:
თეონა ახალაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური - III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)
მოვალეობის შემსრულებელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2018 წლის 21 მაისის #60-01181411598 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (მოქალაქე დავით ვაშაკიძე #AR1579596 განცხადებით წარმოდგენილი გამწვანების პროექტი).

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში, შემოთავაზებული გასამწვანებელი მცენარეების რაოდენობა და სახეობა, (1 ძირი ელდარის ფიჭვი, 1 ძირი ცხენის წაბლა, 2 ძირი მარადმწვანე კვიპაროსი, 1 ძირი ჩიტავაშლა, 5 ძირი იაპონური კომში და მოცემულ ტერიტორიაზე არსებული 2 ძირი აკაცია, ჯამში 6 ძირი ხე და 6 ძირი ბუჩქი), სრულად ვერ ითვისებს კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (177 კვ.მ).

აქვე დავძენთ, რომ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის #3227493 ბრძანების შესაბამისად, მოცემულ გამწვანების პროექტში არასწორად არის მითითებული კ-3 გამწვანების ფართობი, კერძოდ, 146 კვ.მ (კ-3 გამწვანების ფართობის საანგარიშო კოეფიციენტი შეადგენს 0,2-ს, რაც უდრის 177 კვ. მეტრს).

ასევე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-47 მუხლის პირველი ნაწილის ნ[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების პროექტი არის ხარვეზიანი, კერძოდ, მასში არ არის მითითებული გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი და გასაშენებელი მწვანე ნარგავების სიმაღლე.

მოგახსენებთ, რომ მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონთან მიმართებით. გასამწვანებელი მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს: 10-12 კვ. მეტრი 1 ძირი კვიპაროსის სახეობისთვის, ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანის და ასევე ფოთლოვანი ხეებისთვის; ამდენად, განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს არანაკლებ 9 (ცხრა) ძირი წიწვოვანი ანდა ფოთლოვანი ხე (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ 14 სანტიმეტრი)).

დამატებით გაცნობებთ, რომ განმცხადებელმა დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა აარჩიოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან.

შესაბამისად, სამსახურმა, რომ მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს სრულყოფილი გამწვანების პროექტი.

პატივისცემით,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური -
პირველადი სტრუქტურული ერთეულის

გიგა გიგაშვილი

ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

